

❁ ყიდვადი ამბების სერია ❁

წიგნი მესამე



ქარიუსალი

დემონი სნიყეცი

ინგლისურიდან თარგმნა
ლაშა გველესიანმა



გაკურ სულაკაურის
გამომცემლობა

Յղջամոնե...

Յղջամսը յղմհոզե,

Եմթեթոն թս եթմ-եթմսժտոն Կմոզոմոյսզո.



თავი ზამკალი

ობოლ ბოდლერებზე აქამდე ბევრი რომ არაფერი გცოდნოდათ, ალბათ იფიქრებდით, ამ სამ ბავშვს წინ თავბრუდამხვევი თავგადასავალი ელითო: ობლები ეს-ესაა გადმოსულიყვნენ ხმელეთზე „მერყევი ბორნიდან“, რომლითაც მტირალა ტბა გადმოცურეს, ახლა კი დამოკლეს ნავსადგომში ჩემოდნებზე ისხდნენ და ელოდნენ გამგზავრებას თავიანთ ახალ სახლში, ჟოზეფინა დეიდასთან... როგორც წესი, სწორედ ასე იწყება ხოლმე სიკეთით სავსე სუნთქვაშემკვრელი ამბები.

თუმცა ნამდვილად მწარედ ცდებით. ვიოლეტ, კლაუს და სანი ბოდლერებს სულ მალე მართლაც არაერთი ამაღელვებელი და დაუვინყარი რამ გადახდებათ თავს, მაგრამ არ გეგონოთ, მათი ამბავი ისეთივე ამაღელვებელი და დაუვინყარია, როგორიც, ვთქვათ, მკითხავთან ნასვლა ან როდეოზე დასწრება. აბა, მაშ, როგორი? აი, წარმოიდგინეთ, რომ შუალამეს ეკლიან ბუჩქნარში მგელკაცი მაქცია მოგდევთ, თქვენ კი სულ მთლად მარტო ხართ და ვერავინ გშველით – ესეც ხომ ამაღელვებელი და დაუვინყარი ისტორიაა! თუ სუნ-

თქვაშემკვრელი სიკეთით სავსე ამბების საკითხავად გაემზადეთ, მწუხარებით უნდა გაცნობოთ, რომ შეუფერებელი წიგნი გიჭირავთ ხელში, ვინაიდან უიღბლო ბოდლერებს მათი უღიმღამო ცხოვრების გზაზე სიკეთე და სიხარული თითქმის არ ღირსებიან და არც ეღირსებათ. მათი უბედობა – ეს ისეთი საშინელი რამეა, თავს ძალას ვატან, რომ ამაზე დავწერო. ამიტომ, თუ არ გსურთ სევდიან-ტრაგიკული ამბების კითხვა, უკანასკნელად გაფრთხილდეთ: ეს წიგნი გვერდზე გადადეთ, რადგან ობოლ ბოდლერთა უიღბლო ისტორია უკვე შემდეგი აბზაციდან იწყება.

– აი, თქვენთვის რა მაქვს, – მიმართა ბავშვებს სახეგაბადრულმა ბატონმა პომ და ქალაქის პატარა პარკი გაუნოდა, – პიტნის კანფეტი!

ბატონი პომ ბანკის თანამშრომელი იყო, რომელსაც ბავშვების დაობლების შემდეგ მათი პრობლემების მოგვარება დაევალა. ბატონი პომ გულკეთილი კაცი გახლდათ, თუმცა ამქვეყნად მხოლოდ გულკეთილობა არ კმარა, განსაკუთრებით მაშინ, როცა ბავშვების უსაფრთხოებაზე ხარ პასუხისმგებელი. ბატონი პომ ობოლ ბოდლერებს დაბადებიდან იცნობდა, თუმცა ვერაფრით დაიმახსოვრა, რომ პიტნის კანფეტზე ალერგია ჰქონდათ.

– გმადლობთ, ბატონო პომ, – თავაზიანად გადაუხადა მადლობა მას ვიოლეტმა, პარკი გამოართვა და შიგ ჩაი-

ხედა. მისი ასაკის ბავშვების უმრავლესობის მსგავსად თოთხმეტი წლის ვიოლეტიც ზრდილობიანი გოგონა იყო, ამიტომ არ აღნიშნა ის ფაქტი, რომ თუ პიტნის კანფეტს შეჭამდა, ჭინჭრის ციების მწვავე შეტევა არ ასცდებოდა, ანუ სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, „ნითლად გამოაყრიდა და რამდენიმე საათი ქავილით გაიტანჯებოდა“. თანაც გოგონა თავისი გამომგონებლური ფიქრებით ისე იყო გართული, რომ ბატონი პოსტვის სულ არ სცხელოდა. ვინც კი ვიოლეს იცნობდა, კარგად იცოდა, რომ, როცა ის თმას უკან გადაიწვედა და ბაფთით შეიკრავდა (როგორც იმწუთას ჰქონდა), ესე იგი გონებაში სულ ბორბლები, ბერკეტები, კბილანები და გამოგონებებისთვის საჭირო სხვა აუცილებელი საგნები უტრიალებდა. იმ კონკრეტულ მომენტში კი ვიოლეტი იმას ფიქრობდა, ნეტავ როგორ შეიძლებოდა „მერყევი ბორნის“ ძრავას შეკეთება ისე, რომ ამდენი გამონაბოლქვი არ ეფრქვია და ისედაც ნაცრისფერი ცა მთლად ბოლით არ დაეფარა...

– დიდი მადლობა, – ჩაიღიმა შუათანა კლაუსმა, რომელსაც, საკმარისი იყო, ოდნავ გაელოკა ეს პიტნის კანფეტი, რომ ენა ისე გაუსივდებოდა, სიტყვასაც ვერ დაძრავდა. კლაუსმა სათვალე მოიხსნა და ინატრა, ნეტავ ბატონ პოს ამის მაგივრად ჩემთვის წიგნი ან გაზეთი ეყიდაო. კლაუსი ყველანაირ საკითხავს პატარაობიდანვე ხარბად ენაფებოდა და, როცა რვა წლის

ასაკში დაბადების დღის წვეულებაზე თავისი ალერგიის შესახებ შეიტყო, დაუყოვნებლივ ნაიკითხა ალერგიაზე დაწერილი ყველა წიგნი, რაც კი სახლში იპოვა. მას მერე ოთხი წელი გავიდა, მაგრამ ახლაც უშეცდომოდ ჩამოგირაკრაკებდათ იმ ქიმიურ ნაერთთა ფორმულებს, რომელთა გამოც უშუპდებოდა ენა.

– ატა! – წამოიყვირა სანიმ. ნაბოლარა სანი ბოდღერი ჯერაც ჩვილი იყო და, ისევე, როგორც სხვა ჩვილი ბავშვები, ეს ციცქნა გოგონაც ძნელად გასაგებ ენაზე მეტყველებდა. „ატა!“, სავარაუდოდ, ნიშნავდა: „პიტნის კანფეტი არასოდეს მიჭამია, რადგან ვეჭვობ, რომ ჩემი და-ძმის მსგავსად მეც ალერგიული ვარ“, თუმცა დანამდვილებით ვერ ვიტყვით, რადგან ასევე სავარაუდოა, ეგულისხმა: „ვნუხვარ, რომ არ შემიძლია მაგ კანფეტის გაკვნეტა – არადა ხომ იცით, როგორ მიყვარს ჩემი ოთხი ბასრი კბილით სხვადასხვა საგნის დახრა! – მაგრამ რა ვქნა, ალერგიულ რეაქციას ვერიდები“.

– თუ გინდათ, ტაქსიში წამეთ, სანამ ქალბატონ ენუისლის სახლამდე მიხვალთ, – ურჩია ბატონმა პომ და თეთრ ცხვირსახოცში ჩაახველა. ბატონი პომ მუდამ ისე გამოიყურებოდა, იფიქრებდით, გაციებულიაო, და ობოლი ბოდღერებიც მიეჩვივნენ მისგან ინფორმაციის სულ ხროტინ-ხიხინის თანხლებით მიღებას, – ქალბატონი ბოდის გიხდით, რომ ნავსადგომში ვერ დაგხვდათ. ამბობს, მაგ ადგილისა მეშინიაო.

– ნავსადგომის ეშინია? – გოცდა კლაუსი და ხის პირსებსა და იალქნიან ნავეებს გახედა.

– რაც კი მტირალა ტბას უკავშირდება, ყველაფრის ეშინია, – აუხსნა ბატონმა პომ, – მაგრამ არ ამბობს, რატომ. შეიძლება, მისი ქმრის სიკვდილის გამო. თქვენი ჟოზეფინა დეიდა... ცხადია, იგი თქვენი ნამდვილი დეიდა კი არა, თქვენი გარე ბიძაშვილის ცოლისდაა, თუმცა მისი თხოვნა იყო, ბავშვებმა ჟოზეფინა დეიდა დამიძახონო. ჰოდა, თქვენი ჟოზეფინა დეიდას მეუღლე ახლახან გარდაიცვალა და არ გამოვრიცხავ, რომ იგი ტბაში დაიხრჩო, ანდა ნავზე უბედური შემთხვევა მოხდა... ვიფიქრე, არ იქნებოდა მაინცდამაინც ტაქტიანი საქციელი, ქალბატონისთვის მეკითხა, ქვრივი როგორ შეიქენით-მეთქი... კარგი, დროა, ტაქსიში ჩაგსხათ.

– ეგ რას ნიშნავს? – ჰკითხა ვიოლეტმა.

ბატონმა პომ ვიოლეტს შეხედა და წარბები ასწია.

– შენგან მიკვირს, ვიოლეტ! შენხელა გოგომ კი უნდა იცოდეს, რომ ტაქსი არის მანქანა, რომელიც გარკვეული გასამრჯელოს საფასურად სასურველ ადგილამდე მიგიყვანს. აბა, ავიღოთ ახლა თქვენი ბარგი და გზის პირას გადავინაცვლოთ...

– „ქვრივი შეიქნა“ მოძველებული გამოთქმაა, – ჩასჩურჩულა კლაუსმა ვიოლეტს, – და ნიშნავს, რომ „დაქვრივდა“.

– გმადლობ, – ჩასჩურჩულა პასუხად ვიოლეტმაც და

ცალი ხელი ჩემოდანს ჩაავლო, მეორით კი ნაბოლარა სანი აიყვანა. ბატონმა პომ ტაქსის ცხვირსახოცი დაუქნია და გააჩერა. ტაქსისტმა ბოდღერების ჩემოდნები თვალის დახამხამებაში ჩატენა საბარგულში, ბატონმა პომ კი ბავშვები ტაქსის უკანა სავარძელზე შეჭუჭკა და უთხრა:

– აქ დაგემშვიდობებით. სამუშაო დღე უკვე დაიწყო და, ვშიშობ, ჟოზეფინა დეიდასთან რომ გამოგყვეთ, ჩემი საქმეების მოგვარებას ველარ მოვასწრებ. ჩემგან დიდი მოკითხვა გადაეცით და უთხარით, რომ ხშირად შევეხმიანები.

ბატონმა პომ ცხვირსახოცში ჩაახველა და განაგრძო:

– ჰო, ჟოზეფინა დეიდა, ცოტა არ იყოს, ლელავდა, როგორ უნდა გავუმკლავდე სამ ბავშვსო, მაგრამ დავარწმუნე, რომ სამივენი კარგი ზნის ხართ. ეცადეთ, ნესიერად მოიქცეთ, და თუ რამე სირთულე შეიქმნა, როგორც ყოველთვის, შეგიძლიათ, ბანკში დამირეკოთ ან ფაქსი გამოგზავნოთ. თუმცა, არა მგონია, ამჯერადაც რამე მოხდეს.

ბატონმა პომ სიტყვა „ამჯერადაც“ რომ თქვა, ბავშვებს ისე მრავალმნიშვნელოვნად გადახედა, თითქოს საბრალო ბიძია მონტის სიკვდილი მათი ბრალი ყოფილიყოს. მაგრამ ბოდღერები ისეთი მღელვარებით ელოდნენ თავიანთ ახალ მეურვესთან შეხვედრას, რომ ზედმეტი ლაპარაკის თავი აღარ ჰქონდათ.

– აბა, ნახვამდის! – დაემშვიდობა ვიოლეტი და პიტნის კანფეტების პარკი ჯიბეში ჩაიდო.

– აბა, ნახვამდის! – გაიმეორა კლაუსმაც და უკანასკნელად გახედა დამოკლეს ნავსადგომს.

– აფუ! – დაიჭყვივლა სანიმ და უსაფრთხოების ღვედის ბალთის ღრღნა განაგრძო.

– კარგად, ბავშვებო! – თქვა ბატონმა პომ, – წარმატებას გისურვებთ. იცოდეთ, რომ სულ თქვენზე ვიფიქრებ.

ბატონმა პომ ტაქსისტს ფული გადაუხადა და ბავშვებს ხელი დაუქნია. ტაქსიმ ნავსადგომიდან ნაცრისფერ, რიყის ქვით მოკირწყლულ ქუჩაზე გადაუხვია. მისმა მგზავრებმა ჯერ პატარა სასურსათო მაღაზიას ჩაუარეს, რომლის წინაც ლიმონითა და ქარხლით სავსე ყუთები იდგა, მერე – ტანსაცმლის მაღაზიას, სახელად „ნახე, მოგერგო!“, რომელიც, როგორც ეტყობოდა, რემონტდებოდა; მერე იყო რაღაც საზარელი რესტორანი „შფოთიანი მასხარა“, რომლის ფანჯარაც ნეონის ნათურებითა და ბუმტებით მოერთოთ. უმეტესად კი ფიცრებით აჭედილი ანდა რკინის გისოსებში ჩასმული მაღაზიები ხვდებოდათ გზად.

– არც ისე ხალხმრავალი ადგილი ჩანს, – აღნიშნა კლაუსმა, – მე კი მეგონა, ახალ მეგობრებს გავიჩინდით...

– ახლა სეზონი არაა, – მიუგო ამაზე ტაქსისტმა. იგი

მეტად გამხდარი კაცი იყო და ძალიან წვრილ სიგარეტს ეწეოდა. ლაპარაკის დროს ბავშვებს უკანა ხედვის სარკეში უყურებდა, – მტირალტბათაუნი საკურორტო დაბაა და კარგ ამინდში მუდამ ხალხითაა სავსე. მაგრამ ახლა მკვდარი სეზონია – აი, დღეს დილით რომ მანქანით გადავუარე, იმ კატასავით მკვდარი. ახალი მეგობრების გაცნობა თუ გინდათ, ცოტა მოცდა მოგიწევთ, სანამ გამოიდარებს. ჰო, სხვათა შორის, ამბობენ, ერთ-ორ კვირაში ქალაქს ქარიშხალი „ჰერმანი“ უნდა დაატყდეს თავსო. ჯობია, იქ, თქვენს სახლში, ბლომად საჭმელი მოიმარაგოთ.

– ქარიშხალი ტბაზე?! – გაიკვირვა კლაუსმა, – მეგონა, ქარიშხლები მხოლოდ ოკეანეების სიახლოვეს იცოდა.

– ამსიდიდე წყალსატევის სიახლოვეს, როგორიც მტირალაა, ყველაფერი შესაძლებელია, – განუმარტა ტაქსისტმა, – სიმართლე გითხრათ, თქვენს ადგილას, ბორცვის წვერზე რომ ვცხოვრობდე, ღამე მშვიდად ვერ დავიძინებდი. ქარიშხალი რომ ატყდება, იმსიმალლიდან ქალაქამდე ჩამობობლება არ გინდა?!

ვიოლეტმა, კლაუსმა და სანიმ ფანჯარაში გაიხედეს და მაშინვე მიხვდნენ, რასაც ნიშნავდა „იმსიმალლიდან ჩამობობლება“. ტაქსიმ ერთიც მოუხვია და მაღალი ბორცვის წანვრილებულ მწვერვალს შეუყვავა. ქალაქი ქვემოთ ძალზე შორს მოჩანდა. რიყის ქვით მოკირწყლული გზა წვრილი, ნაცრისფერი გველივით მიიკ-

ლაკნებოდა სახლებს შორის, დამოკლეს ნავსადგომი კი პატარა კვადრატს ჰგავდა, რომელზეც მოფუსფუსე ადამიანები წერტილებივით მოჩანდნენ. ნავსადგომს იქით მუქ მელნისფრად ლივლივებდა მტირალა ტბა, გეგონება, სამ ობოლს ურჩხული დასდგომია თავს და მისგან ვეებერთელა ჩრდილი ეცემაო. რამდენიმე წამს ბავშვები მონუსხულებივით მიშტერებოდნენ ტბას, რომელიც ლანდშაფტზე უზარმაზარი ლაქასავით მოჩანდა.

– რამხელა ტბაა! – გაცემა ვერ დაფარა კლაუსმა, – თან, მგონი, ღრმაც უნდა იყოს. ახლა მესმის, რატომაც ეშინია ამ ტბისა ჟოზეფინა დეიდას.

– ვის? აქ რომ ცხოვრობს, იმ ქალბატონს? – ჩაეკითხა ტაქსისტი, – ტბის ეშინია?

– ჩვენ ასე გვითხრეს, – უპასუხა ვიოლეტმა.

ტაქსისტმა თავი გაიქნია და მანქანა გააჩერა.

– თუ ასეა, არ ვიცი, აქ როგორ ძლებს.

– რას გულისხმობთ? – დაინტერესდა ვიოლეტი.

– მოიცა, ამ სახლში არასოდეს ყოფილხართ? – კითხვითვე მიუგო ტაქსისტმა.

– არა, არასოდეს, – უპასუხა კლაუსმა, – ჟოზეფინა დეიდასაც არასოდეს შევხვედრივართ.

– აჰა. ჰო, თუ მაგ თქვენს დეიდას წყლის ეშინია, – თქვა ტაქსისტმა, – ნამდვილად ვერ გამიგია, აქ, ამ სახლში როგორ ცხოვრობს.

– ამას რატომ ამბობთ? – მაინც ვერ მიხვდა კლაუსი.

– ა, ბატონო, შეხედეთ, – მიუთითა ტაქსისტმა და მანქანიდან გადმოვიდა.

ბოდლერებმაც შეხედეს. ჯერ მომცრო კვადრატული ფორმის ყუთი და საღებავაქერცლილი თეთრი კარი დაინახეს და იფიქრეს, ესაა მთელი სახლიო, რომელიც მათ ტაქსიზე ბევრად დიდი ნამდვილად არ ჩანდა. მაგრამ მანქანიდან რომ გადმოვიდნენ და მიუახლოვდნენ, აღმოჩნდა, რომ ეს მომცრო კვადრატული ფორმის ყუთი ნვერზე აშენებული სახლის მხოლოდ მცირე ნაწილი იყო. დანარჩენი ნაწილი კი – ყინულის კუბებივით ერთმანეთზე შენებული ასეთივე კვადრატული ყუთების დიდი გროვა – ფერდობზე იყო გადაკიდებული და ქვეშ ლითონის გრძელი ოჩოფეხები ჰქონდა შედგმული. ობლებმა თავიანთ ახალ სამყოფელს რომ ახედ-დახედეს, მოეჩვენათ, თითქოს მთელი სახლი იმ ბორცვს ისე ეჭიდებოდა, როგორც წყალწალეული – ხავსს.

ტაქსისტმა მათი ბარგი საბარგულიდან გადმოიხიდა და საღებავაქერცლილი თეთრი კარის წინ დააწყო. მერე ჩაჯდა მანქანაში და ქვევით დაეშვა, გამომშვიდობების ნაცვლად კი ერთი ომახიანად დაუსიგნალა: „პიიპ!“

თეთრი კარი სუსტი ჭრიალით გაიღო და ფერმკრთალი, ჭალარათმიანი ქალი გამოჩნდა.

– გამარჯობა, – ოდნავ გაიღიმა ქალმა, – მე თქვენი ჟოზეფინა დეიდა ვარ.

– გამარჯობა, – მორიდებით მიუგო ვიოლეტმა და ახალი მეურვის სახლში შეაბიჯა. ვიოლეტს კლაუსი მიჰყვა, კლაუსის შემდეგ კი ღია კარში ნაბოლარა სანი შეხობდა. სამივენი ისე ფრთხილად დააბიჯებდნენ, თითქოს ეშინოდათ, ზედმეტ მოძრაობას ეს ქანდარაზე შემოსკუპებული სახლი არ გადაეყირავებინა. ობლები ვერაფრით ხვდებოდნენ, ქალი, მტირალა ტბისა ასე რომ ეშინოდა, როგორ ცხოვრობდა ისეთ შენობაში, რომელიც ნებისმიერ წამს შეიძლებოდა ფერდობიდან მომწყდარიყო და ტბაში ჩანთქმულიყო.